თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3391885

ნომერი: AR1519992

თარიღი : 04.07.2017

გაცემის თარიღი : 12.07.2017

გაცნობის თარიღი : 12.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , შიდა კვარტალში , N101-ე სკოლის მოპირდაპირედ , (ნაკვეთი N21, N22, N20) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა მარგველაშვილი პ/ნ 24001003338
- თბილისი ცხემის ჩიხი N 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1519992 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ.თბილისში, #01.14.03.042.126 საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 30 მაისს #AR1509626 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე სოფიო გასიტაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.14.03.042.126 საკადასტრო ერთეულზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.